**2019 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №81-ის დანართი №1**
**„შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში“**
**ავიაკომპანიებისათვის გასაწევი საავიაციო უშიშროების მომსახურების**
**ტარიფები**

**Annex №1 to the Decree №81 dated 12 of December, 2019**
**Price List for Aviation Security Services provided to the Airlines at Shota Rustaveli Tbilisi International Airport**

| თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საჰაერო ხომალდების და მგზავრების საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის ღირებულება | | Fee of aviation security services of Aircrafts and Passengers at the Tbilisi International Airport | |
|---|---|---|---|
| აეროპორტიდან გამგზავრებულ ყოველ საერთაშორისო მგზავრზე | 6,2 ევრო | Per each international departing passenger | EURO 6,2 |
| აეროპორტიდან გამგზავრებულ ყოველ ადგილობრივი (ქვეყნის შიდა) არარეგულარული ავიარეისის მგზავრზე | 1,5 ევრო | Per each domestic departing passenger (for the charter domestic flights) | EURO 1,5 |
| აეროპორტიდან გამგზავრებულ ყოველ ადგილობრივი (ქვეყნის შიდა) რეგულარული ავიარეისის მგზავრზე | 1 ევრო | Per each domestic departing passenger (for the regular domestic flights) | EURO 1 |

❖ მგზავრთა მომსახურეობის ღირებულება კომპანიებს არ დაეკისრება შემდეგ შემთხვევებში:

- ➢ ორ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის;
- ➢ ჰუმანიტარული დანიშნულების ავიარეისების მგზავრებისათვის;
- ➢ მგზავრებისათვის, რომლებიც არ გადმოსულან საჰაერო ხომალდიდან;
- ➢ საჰაერო მარშალისთვის, იმ შემთხვევაში თუ იგი ბრუნდება უკან იგივე რეისით.

❖ Passenger service fees are not applicable under conditions mentioned below:

- ➢ Minors 2 years old and under;
- ➢ Passengers of humanitarian flights;
- ➢ Passengers that have not left the aircraft (direct transit);
- ➢ For sky Marshalls (if they are returning back with the same flight).

| **საჰაერო ხომალდის საავიაციო უშიშროების მომსახურება** | **საჰაერო ხომალდის მაქსიმალური ასაფრენი წონის 1 ტონაზე** | **Aircraft Security Fee** | **Aircraft MTOW** per Ton |
|---|---|---|---|
| საერთაშორისო ფრენაზე | 2,5 ევრო | International Flights | 2,5 EUR |
| ადგილობრივ (ქვეყნის შიდა) არარეგულარულ ფრენაზე | 1,5 ევრო | Domestic Charter Flights | 1,5 EUR |

| **საჰაერო ხომალდის საავიაციო უშიშროების მომსახურება** | **საჰაერო ხომალდები 14 ტონის ჩათვლით მაქსიმალური ასაფრენი წონით** | **საჰაერო ხომალდები 14 ტონაზე მეტი მაქსიმალური ასაფრენი წონით** | Aircraft Security Fee | **Aircraft MTOW till 14 tons (included)** | **Aircraft MTOW over 14 tons** |
|---|---|---|---|---|---|
| ფასი ადგილობრივ (ქვეყნის შიდა) რეგულარულ ფრენაზე | 1 ევრო / ტონა | 1,5 ევრო / ტონა | Price for Domestic Regular flights | 1 EURO / ton | 1,5 EURO / ton |

| | |
|---|---|
| ❖ როგორც საჰაერო ხომალდის, ასევე მგზავრთა საავიაციო უშიშროების მომსახურების ღირებულების გადახდა 50% შეღავათით ხდება შემდეგ შემთხვევებში:<br>➢ თუკი დაფრენა ხდება, როგორც ალტერნატიულ აეროდრომზე, რაც გამოწვეულია დანიშნულების აეროდრომზე ცუდი ამინდის გამო;<br>➢ ავარიული დაფრენისას;<br>➢ სადემონსტრაციო ფრენისას;<br>➢ საავარიო - სამაშველო სამუშაოების ჩატარებისას;<br>➢ უბედური შემთხვევისას, საჰაერო ხომალდების დაფრენის დროს;<br>➢ საჰაერო ხომალდის დაფრენისას საგანგებო ვითარებაში, თუ ასეთი დაფრენა დაკავშირებულია სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში მართლსაწინააღმდეგო ჩარევასთან. | ❖ 50% Discount for the cost of aviation security services for as aircraft as passengers is made for the following circumstances:<br>➢ if aerodrome is used as an alternate aerodrome, while it is impossible/inadvisable to land at the aerodrome of intended landing because of the bad weather condition;<br>➢ emergency landing;<br>➢ demonstration flight;<br>➢ In case of search and rescue operations;<br>➢ if acccident has happened during landing;<br>➢ emergency landing, where it is caused by an act of unlawfull interference in civil aviation. |
| ❖ საჰაერო ხომალდის საავიაციო უშიშროების მომსახურების ფასს ემატება თხუთმეტი პროცენტი (15%) ფასის დანამატი იმ ფრენების შემთხვევაში, რომელთა ჩამოფრენა ან გაფრენა ხდება დროის შემდეგ შუალედში: 22:00-დან - 06:00-მდე ადგილობრივი დროით. | ❖ A Fifteen percent (15%) surcharge for services provided for aircraft is applicable for the flights arriving or departing in the following periods: from 22:00 till 06:00, local time. |
| ❖ საჰაერო ხომალდის მაქსიმალური ასაფრენი წონის დაანგარიშებისას ერთეულ ტონაზე გადაჭარბებული წონა ჩაითვლება სრულ ტონად. | ❖ In calculating the aircraft MTOW's each portion of a ton will be calculated as full ton. |
| ❖ ფასები არ მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. | ❖ The prices do not include taxes envisaged by Georgian legislation; |
| ❖ წინამდებარე დანართით გათვალისწინებული საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლება დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც მომსახურების გაწევა განპირობებულია განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესის დაცვის მიზნით ან/და გარემოებებით, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და უსაფრთხოებას, ან/და შეიცავს ასეთი საფრთხის დადგომის რისკს. წინამდებარე პუნქტის მიზნებისათვის ასეთ გარემოებად ჩაითვლება მიწისძვრა, წყალდიდობა, დიდთოვლობა, ხანძარი, მეწყერი, ქარიშხალი, სამხედრო მოქმედებები, | ❖ Flights, which serve to a significant public interest and/or are aimed to eradicate the conditions which threaten human lives, health and/or safety, and/or create a possibility of such conditions to occur, could be exempted from charges envisaged by this annex. Such conditions include but are not limited, to earthquake, flood, heavy snowfall, fire, landslide, storm, state of emergency, war, martial actions and/or any other force majeure conditions, which are either publicly acknowledged and/or confirmed by the respectively competent person/authority. |

| | |
|---|---|
| ეპიდემიები, საგანგებო ან საომარი მდგომარეობა ან/და სხვა ისეთი ფორს-მაჟორული გარემოება, რომლის არსებობა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია ან დადასტურებულია საამისოდ კომპეტენტური სუბიექტის მიერ. | |

**დირექტორი** **გიორგი ჩოგოვაძე**